



ბავალიტი გახლავთ 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილარი



www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№268 (327) 13-20 მაისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამებროლოს“ ორბანო 30 თეთრი

## “ПАЛКА В КОЛЕСО”, ანუ – “ვირის ტორმუზი”

ყველა ენაზე თავისებური სახელი ჰქვია ადამიანს ან ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც ყველა საშუალების გამოყენებით ცდილობს დაამხრუჭოს საერთო წინსვლა, ხელი შეუშალოს იმ პირთა ძალისხმევას, რომლებიც საზოგადოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად იღვწიან. ამგვარ გადაგვარებულებს რუსეთში ეძახიან “ПАЛКА В КОЛЕСО”-ს, ჩვენი ძმები კახელები კი მათ “ვირის ტორმუზად” მოიხსენიებენ (იმედია, თავიდან კარგად მიხვდებით თუ უწყინარი სახედრის სხეულის რომელი ნაწილი აქვთ მხედველობაში გულადალ, მაგრამ სიტყვათა კახელებს).

თავად წარმოდგინეთ, როდენ გამოღვივებულია ის, როცა პოლიტიკურად თუ პიროვნულად ანგვირვებულმა მავანმა ძალიან კარგად იცის, რომ ესა თუ ის საქმე სასარგებლოა ერისა და ქვეყნისათვის, მაგრამ პოლიტიკური კონკურენტების დისკრედიტაციის გზით მიმართავს საბოტაჟს და გარკვეული ხნით ამუხრუჭებს ქვეყნისათვის სასიკეთო პროცესებს.

იმედია, იმასაც მიხვდებით, რომ ამ წერილში საუბარი გვექნება ავადსახსენებელ “ნაციონალთა” უბადრუკი ნარჩენების ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პირველადინი დაშნაკის მიხედვით სააკაშვილისა და მისი აღვირახსნილი ნაციონალური ბანდის ძალისხმევა მხოლოდ საქართველოს დასუსტებასა და განადგურებაზე იყო ორიენტირებული!

მოკლედ, როგორც იტყვიან, ქართველები “გვეჯივ ვართ გადარჩენილი” და კიდევ ერთხელ უნდა ვუთხრათ მადლობა ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ქვეყანა იხსნა ამ აშკარად არაქართული ძალისაგან და საქართველო ქართველებს დაგიბრუნა. თუმცა, ეს მადლობა საქამოდ დიდი დოზით იქნება პილპილმოყრილი, რადგან სწორედ მან აღახევა საქართველოში ის პოლიტიკური ძალა, რომელიც პირდაპირ არჩევნებში ხმების ერთ პროცენტსაც კი ვერ შეგროვებდა. სწორედ ეს პოლიტიკური ძალა “ეფანტეკვალედა” დღეს “ნაციონალურ მოძრაობად” სახელდებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას და თითო-დან გამოწოვილი “კომპარტუკაციით” უხანგრძლივებს არსებობას, რაც ნ-პროცენტის რეიტინგის მქონე ნაცებს ჯერ კიდევ უნარჩუნებს ქვეყნისათვის სასიკეთო პროცესების საბოტირების საშუალებას!

ნაციონალთა უკანასკნელი “ვირისტორმუზული” გამოხტობა გავხდეთ თბილისის მერიის (რომელიც ჯერ კიდევ ნაციონალთა ჭაობს წარმოადგენს) მიერ უარის თქმა თბილისის განვითარების ფონდის ინიციატივაზე, რაც გულისხმობს ძველი თბილისის უბნების კეთილმოწყობასა და ახალი რეაქრიაციული ზონის მოწყობას და რომელსაც დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარი მოხმარდება. ბუნებრივია, რომ ამ პროექტზე მუშაობის დაწყება მნიშვნელოვნად გაზრდის ელექტორატის თვალში “ქართული ოცნების” ავტორიტეტს, რაც აშკარად არ აძლევს ხელს პოლიტიკური რევანშის მოლოდინში გაღურსულ ნაციონალებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთ, ზნეობის დეფიციტის პარადელურად, საკმარის მწვავე ინტელექტუალური დეფიციტიც აქვთ და ინფუზორიების დონეზე არიან გაკვდილები, თორემ როგორ შეიძლება დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვების იმედი ჰქონდეს იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის მიმართ ზიზღს აფრქვევს სრულიად საქართველო! იმდენად უტვინოები არიან, რომ წარსულში არჩევნების უხეშად გაყვლების

გზით მოპოვებული “გამარჯვებები” ქართველი ხალხის მიერ მათი ძალებისა და ავტორიტეტის რეალურ შეფასებად მიანინიათ!

დებილები არიან, რომლებიც დღეს მხოლოდ “ვირის ტორმუზობას” ასერხებენ!

და ეს ყოველნაირად დეგრადირებული ძალა მართლაც საქართველოს ცხრა წლის განმავლობაში...

სწორედ ეს გახლავთ საქართველოს ისტორიული სირცხვილი, რომელსაც ვერასოდეს ჩამოვირეცხავთ ქვეყნის პოლიტიკური სხეულიდან...

დღეს აღარ არის სააკაშვილი, აღარ არის უგულავა, მაგრამ არიან კანდელაკები, კუბლაშვილები, ვაშაძეები, საყვარელიძეები, უგრეხელიძეები, ფქვილში ჩაგარდნილი თავის სიფათის მქონე ირაკლი აბესაძეები და სხვა პოლიტიკური არარაობები, რომელთაც ხელის შეშლის მეტი არაფერი შეუძლიათ და მხოლოდ “პერსონატებს დიდების” მოპოვებით თუ დაგვა-მახსოვრებენ თავს!

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე, ადამიანური პოზიციიდან გამომდინარე, მაინც მეცოდებიან ეს სრული არარაობები, რომელსაც გუშინ ყველფერი ჰქონდათ, დღეს აღარაფერი აქვთ და კვლავ იმის მოლოდინით სულღმულოდობენ, რომ ოღესმე კვლავ დაბრუნდებიან ხალხის კისერზე მჯდარი სისხლისმწოველი ბადლინჯოს პოზიციებს!

სწორედ პოლიტიკური რევანშით ასურეშებული უშლიან ქვეყნის ყველანაირ წინსვლას ხელს, ცდილობენ შექმნან სტაგნაციის ხელოვნური გარემო, რათა ხალხში ნიჰილიზმის განცდა გააღვივონ ახალი ხელისუფლების მიმართ, რომელიც ნამდვილად არ არის იდეალური, მაგრამ, დაშნაკი სააკაშვილისა და მისი ნაცებისაგან განსხვავებით საქართველოს განადგურებაზე მაინც არ არის მოტივირებული!

მაგრამ მოდით, თემას ნუ დავშორდებით და კვლავ თბილისის მერიის დღევანდელ მხედველებს დაგვბრუნდეთ – სწორედ ქალაქის ვიცე-მერმა ირაკლი აბესაძემ განაცხადა, რომ თბილისის განვითარების ფონდის პროექტის განხორციელება იმიტომ არ შეიძლება, რომ იგი ქალაქის იერსახეს დაამხინჯავსო. მართლა უტიფარი სულელია ეს არაკაცი, თორემ, რაც მაგან და მისმა ნაცებმა ქალაქს დამართეს, როგორ შეიძლება თბილისის იერ-სახის დამხინჯვა სხვებს დავაბრალოთ?! ნუთუ ამ მახინჯს მართლა ჰგონია, რომ მისი თანაგუნდელი უგულავას მიერ დედაქალაქიდან “გაძეგვებული” დავით აღმაშენებლის ძეგლის აღვილზე უშნოდ ანორჩხილი ეკლესია პედი ამშვენებს თბილისს? ან იქნებ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ძეგლი თუ ადამიანის წონხხივით უშნოდ ანორჩხილი ე.წ. “შევიდობის ხიდი” მიაჩნია აბესაძეს თბილისის მშვენიერად, რიყეზე მონიკელეული გველუშაპივით პრიალა ფუნად გართხმულ საკონცერტო დარბაზსა და ბათუმში დადგმულ კვერცხებიან “შლოპანცებზე” რომ აღარაფერი ვთქვათ?!

ან იქნებ იმას თვლიან სილამაზედ ნაცები, რომ საპატრიარქოს შენობის გვერდით ლამის ბორდელად ქცეული კახინო “შანგრილა” გახსნეს, მის მოპირდაპირედ კი “ბუღაბარი”, რაც მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაჩინო ნიშნებს წარმოადგენს?

მხოლოდ მახინჯ თავებში თუ აღმოცნდება ამგვარ სიმახინჯეთა ტირაფირების იდეა!

ან იქნებ ის არ არის დიდი სიმახინჯე და აღვირახსნილობა, გიგი უგულავამ რომ ხელის ერთი მოსმით მოჰპარა თბილისის განვითარების ფონდს 50 მილიონი ლარი

და შემდეგ ლას-ვეგასის კაზინოებში თუ თბილისის ჯურღმულებში უდარდელად ატარებდა დროს მსუბუქი ყოფაცხვის ქალბატონებთან ერთად?

იქნებ უგულავას მიერ ჩატარებული ფინანსური “აბრუნდია” სილამაზის კლასიკური ნიმუში, როცა ამ წვრილმანმა თაღლითმა თავის მიერ “მოსოდომ-გომორბული” რიყის ტერიტორიის ნაწილი 7 მილიონად ლარად გაყიდა, შემდეგ კი 17 მილიონ ლარად გამოიყიდა და ზედმეტად გადახდილი ათი მილიონი ლარი ფაქტიურად ტელეარს “იმედის” შესაძენად გადაურიცხა ასევე საეჭვო რეპუტაციის მქონე ბიზნესმენ ჯოზეფ ქვის? უგულავას იმის ტვინიც კი არ ეყო, რომ უფრო “ნატიფად” მოეპარა ბიუჯეტის ფული, მაგრამ ეკონა, რომ სააკაშვილი და ნაცები სამუდამოდ მოვიდნენ საქართველოს ხელისუფლებაში და პასუხს არასდროს მოსთხოვდნენ ჩადენილი არაკაცობისათვის!

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!

ორი სათრეველია  
წინათქმა  
**როცა შია, ჩემს ხალხს შია,  
პარლამენტი რა დღეშია?  
სათრეველით პასუხს ვითხოვ,  
განსაჯაოთ და განეკითხოთ!**

**ვირის სანომრე ნიშანი**  
რადგან მომრავლდნენ ისევე  
ვანუები და მიშანი,  
მათ „ნოვაციას“ ვიხსენებ  
ვირის სანომრე ნიშანით.

და ვრქვი: ვინ არის ახალი  
„შუქურა დემოკრატიის“,  
პირველმა ვინ მოგვახარა  
ბუხუსა პრეზერვატივი.

მან უკვე ჩაგვიხუჭუჭა,  
ურმებს რა ჰქონდეთ მუხრუჭად,  
ჩინილათა მუხრუჭად,  
ღანრჩებულთა მუხრუჭად?!

მაინც არ უხსნის დანა პირს,  
თვალები ვერ მოუხუჭავს:  
—ურემს, პო, ძელი, მაგრამ ვირს  
რა დაუყენოს მუხრუჭად?

მისთვის დღე არის მზე ბნელი,  
თუ არ სჭირს კანონთ „სახადი“  
და დადის საქმის მივბნელი  
მამაპაპური მახათით.

...რადგან მომრავლდნენ ისევე  
ვანუები და მიშანი,  
ხალხო, ამიტომ ვიხსენებ  
ვირის სანომრე ნიშანი!

ალექსანდრე შენგელია

მაგრამ უამრავი სიმახინჯის დახვევა მოასწრეს და, ამიტომ, სააკაშვილისა და მისი ბანდის მახინჯი საქმენი საქართველოს ისტორიის სამარცხინო ფურცლიდა ქცეული, რაც უკან მოხედვის სურვილს გვიკარგავს და მუდამ სინანულში გვაძეგვებს!

– არ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორ

მხეცურად მოკლეს, დღისთი-მზისთი, ხალხის თვალწინ, შესანიშნავი მეცნიერი და მამულიშვილი გურამ შარაძე..

– არ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორ გაიმეტეს სასიკვდილოდ პარლამენტარი ვალერი გელაშვილი იმიტომ, რომ მან სიმათლვე თქვა სააკაშვილის აღვირახსნილ ცხოვრებაზე!..

– არ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორ თავხედურად, კაპიკების ფასად დაისაკუთრეს მრავალმილიონიანი სახელმწიფო ქონება სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ და მისმა ახლო მეგობარმა და თანამოაზრემ, უსახურმა “თთაჯაჯმა” კახა ბენდუქიძემ!..

– არ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორ მხეცურად დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაციები, ხოლო მათი ხელით მოკლული დემონსტრანტების გვამები როგორ შემოაღაცეს მალაჩიის სახურავზე!..

– არ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორ მოკლეს ზურაბ ჟვანია!..

– არ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორ დაეცა დატოვდა ტელეარხი “იმედი”!..

– არ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორი ტაშფანდურა მოაწყო სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომში “რუსებთან გამარჯვების” აღსანიშნავად, რითაც კიდევ ერთხელ გააბითურა ქართველი ერი!..

რომელ დარგს არ დაამჩნიეს თავიანთი მსახურადი ხელი ავადსახსენებელმა ნაცებმა – განათლება, მეცნიერება, ეკონომიკა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, სამედიცინო სფერო...

აუტანელი გახადეს ქვეყანაში ცხოვრება ამ მართლაც სულიერ-ხორციელმა მახინჯებმა!

და ვის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ სააკაშვილი არ არის კრიმინალი, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” კი არ არის დანაშაულებრივი დანაშაულე-ბრივი ორგანიზაცია!

ყოველნაირ სასიკეთო საქმეში ხელშეშლელი, ნამდვილი მესაბოტაჟე უხნეო ვირის “ტორმუზები” არიან, რაშიც უკვე აღარავის ეპარება გვიკი!

ახლა კი ეს არაადამიანები ხმებს გვთხოვენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში გასამარჯვებლად. ამათ მხარეზე ახლა ქართული საზოგადოების მათსავით უტიფარი და ნაძირალა ნაწილი თუ დადგება. ხმა, მათ, რა თქმა უნდა, არ უნდა დაეკლოთ, მაგრამ ეს უნდა იყოს გულიდან ამოხეთქილი თითოეული ქართველის რისხვით აღსავსე ხმა:

– გადაშენდეთ ნაცები, თქვენი სააკაშვილიანად, სამუდამოდ მოგვშორდით, რათა თქვენი გესლი კვლავაც არ რყენდეს მომავალ თაობას. ისტორიის სანაგვეზე თქვენი ადგილი, თქვე აგაკავებო!

უნდა მოგვშორდეთ, რათა ხელი ვეღარ შეგვიშალოთ თქვენგან დაქცეული ქვეყნის თავიდან აშენებაში!

**როლანდ ჯალაღანი,**  
“ფაზისი“-ს და “ანი“-ს აკადემიების წევრი

P.S. “ბუსუსებთან პრეზერვატივსა“ და სხვა, უფრო სახალისო ფაქტებით დააკავშირებული კანონების კვალდაკვალ საქართველოს პარლამენტს მიღებულ აქვს ასეთი კანონიც – თუ ურემს ან მარხილს სამუხრუჭე მოწყობილობა არ გააჩნია, გლეხს მისი საეკსპლოატაციოდ გამოყენება ეკრძალება. ტექნიკაში ნაკლებად გაათვითცნობიერებულ გლეხებს რომ საზრუნავი გავუადვილოთ, მათ ვთავაზობთ, რომ ურემზე წამოიხტონ თითო ნაციონალი.

უკეთეს მუხრუჭს სად იშოვნიან?!

# აფხაზი კვლამ-განმანათლებელი ანდრია მაქსიმუს ძე ჭოჭუა

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობარმა ნუგზარ სალაყიამ მოგვარა არველი კუბარავას სქელტანიანი წიგნი “ხალხი: დრო და ცხოვრება”, რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით “აფხაზეთის ღირსეული შეილები”, ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიები გამოქვეყნებას.

ანდრია ჭოჭუამ ჯერ კიდევ ცარიზმის მიმე წლებში მოქიდა ენერგიულად ხელი აფხაზი ხალხის ზოგადი განათლების საქმეს. ეს საკმაოდ სახიფათო საქმე გახლდათ, რადგან ყოველი არასანქცირებული ქმედება მფვის რუსეთის იმპერიის ინტერესების შელახვად მიანდა.

ანდრიას კი ბრმად სწამდა ბუნებით შემოქმედი აფხაზი ხალხის განათლებისადმი სწრაფვისა, რომელსაც ხალხური ფოლკლორისა თუ მატერიალური კულტურის თვალსაზრისით ძველები ჰქონდა შექმნილი საუკუნეთა განმავლობაში. შესანიშნავი დემოკრატიული ტრადიციების შენარჩუნება კი მასებში განათლების მუხტის შეტანის გარეშე განხლდებოდა. სწორედ ამიტომ, ანდრია ჭოჭუას არაფერი დაუშურებია დასახული მიზნების განსახორციელებლად, რადგან საჭირო იყო მრავალი თაობის მიერ შექმნილი საუკეთესო კულტურული და ყოფითი ტრადიციების შენარჩუნება. ამ პატრიოტული გრძობებით აღსავსე ანდრია აფხაზი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის მცირე ჯგუფთან ერთად შეუდგა ხალხის განათლების საქმეს, ქმნიდა სოფლებში დაწვეებით და საშუალო სკოლებს, ხელს უწყობდა სასწავლო დაწესებულებებში აფხაზური ენის სწავლების შემდგომი წინსვლის საქმეს. მისი თაონობით გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები აფხაზურ ენაზე და საბირველს უყრდა სხვა პროგრესულ წამოწეებებს. ანდრია ჭოჭუას არ აკრთობდა სიძნელეები და არც იმ მუქარების ემინოდა, რომელსაც მას ხშირად უთვლიდნენ შავრაზმეული ძალები.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ანდრია ჭოჭუა აქტიურად ჩაერთო კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში, რომლის ცხოვრებისეული კრელო გახლდათ მშობლიური ხალხისადმი სამსახური, მასებში განათლების შეტანა და იმ მდიდარი ტრადიციების შენარჩუნება, რომლებიც აფხაზებში სწორედ ამ სფეროში გამოვლინდა ანდრია ჭოჭუას ორგანიზატორული უნარ-თვისებები, ენერგიული და მაღალპროფესიული საქმიანობა აფხაზეთის განათლების ფეროში.

1921 წლიდან იგი თითქმის 10 წლის განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, რა დროსაც მთლიანად გამოვლინდა სახალხო განათლების სფეროში მისი უზარმაზარი შესაძლებლობები. ს.ა. ჭანბასთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა აფხაზეთში შრომითი სწავლების საბჭოური სისტემის დამკვიდრებას. რა წინადადებებებს არ წააწყდა იგი ამ ფრონტზე, როგორი რთული საკითხების გადაწყვეტა არ უწევდა მას!

მისი თავაკაცობით აფხაზეთში ჩამოყალიბდა აფხაზური, ქართული, სომხური, ბერძნული და სხვა ნაციონალური სკოლები, აშენდა შენობები ახალი სკოლებისათვის, მომარაგდა სკოლები ინვენტარითა და მეთოდური ლიტერატურით, გადაამზადა ძველი და მომზადდა ახალი კადრები, აფხაზური სკოლებისათვის შეიქმნა ახალი სახელმძღვანელო ლიტერატურა, დაისველა აფხაზური დამწერლობა, ამაღლდა მასელების განათლების ზოგადი დონე – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ კონკრეტული სასიკეთო საქმეებისა, რითაც სულგანათლებული ანდრია ჭოჭუა აშკარად გამოჩეული გახლდათ მისი თანამედროვეებისაგან.

გადაუდებელი პრაქტიკული საქმეების განხორციელებისას ანდრია პრინციპულ სახელმწიფოებრივ თვისებებს ავლენდა. სწორედ ამის წყალობით აღწევდა იგი გამარჯვებას იმ ურთულეს სფეროებში, რომელთან შეხებას გამოციდილი სპეციალისტებიც კი ვერ ბედავდნენ.

ანდრია ჭოჭუას შემოქმედებაში დიდი ადგილი ეკავა სათანადო კადრების მომზადების საქმეს აფხაზეთის სახალხო მემურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. სწორედ მისი ინიციატივითა და უშუალო ჩარევით 20-30-იან წლებში აფხაზეთში შეიქმნა 15 სხვადასხვა ტიპის ტექნიკური

და სპეციალიზირებული სასწავლებლები. არქივებში ინახება უნიკალური დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ანდრია ჭოჭუას მიერ ჩატარებულ ზღვა სამუშაოზე კადრების მომზადების კუთხით.

აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატში მუშაობისას ანდრია ჭოჭუა პირადად არჩევდა სახელმწიფო სტიპენდიანტებს თბილისის, მოსკოვისა, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად. აფხაზეთში უმაღლესი სასწავლებლების გახსნამდე ამ გზით მომზადდა ასობით სპეციალისტი რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურისა და განათლების სფეროში სამოღვაწეოდ. სწორედ მათი რიგებიდან აღიზარდნენ ისეთი თვალსაზრისი სპეციალისტები და მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, ილია თყეშელაშვილი, კომპოზიტორ-დირიჟორი ოდისეი დიმიტრი-ადი და სხვები. სწორედ ანდრია ჭოჭუას სახელს უკავშირდება აფხაზეთში ისეთი უმაღლესი სასწავლებლების ჩამოყალიბება, როგორებიც იყვნენ სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტი და სოხუმი პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის პირველი რექტორიც თავად გახლდათ. ორგანიზაციული საქმიანობის მდიდარმა გამოციდილებამ საშუალება მისცა ანდრიას, რომ მოკლე ხანში დაეკომპლექტებინა ეს უმაღლესი სასწავლებლები სათანადო პროფესორებითა და გამოციდილი პედაგოგებით, რათა ინსტიტუტები მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და წვრთნის საშუალებად ექცია.

ათასობით ადამიანმა გაიარა ეს წვრთნა და უანგაროდ უზიარენ კვალიფიკაციას სწორედ სულმნათ ანდრია ჭოჭუას ხელდასხმის წყალობით.

განსაკუთრებულია ანდრია ჭოჭუას როლი აფხაზმცოდნეობის, როგორც მეცნიერების ახალი დარგის შექმნისა და განვითარების საქმეში. იგი გახლდათ აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის აკადემიის აფხაზმცოდნეობის სამეცნიერო საზოგადოების პირველი თავკაცი, რომელიც 1925 წელს სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით. მიუხედავად იმისა, რომ ეს აკადემია საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობდა, მან მაინც მოახერხა რამ-

დენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომის წიგნად გამოცემა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არ იყვნენ აფხაზმცოდნე მეცნიერები, მაგრამ ეს ტვირთი თავის თავზე აიღო მოწინავე აფხაზმა ინტელიგენციამ, რომელსაც სათავეში ანდრია ჭოჭუა ჩაუდგა. ამ სფეროსადმი აფხაზი ხალხის ინტერესის გათვალისწინებით იქმნებოდა ახალი აქტუალური ნაშრომები, რომელთა შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დიდი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, დიმიტრი გულია და სხვები.

სწორედ ანდრია ჭოჭუას ინიციატივით ჩამოყალიბდა აფხაზმცოდნეობის პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლა, როცა არქივებში ეცნობი ამ ინსტიტუტის წესდებსა და სხვა სააქციოდნეო დოკუმენტაციას, გაოცებას იწყებს ჭოჭუას შორსმჭვრეტელობა და მომავლის შეუმცდარი ხედვა. სწორედ მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ფილიალში აფხაზური ასპირანტურა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აფხაზური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებაში.

მრავალმხრივი და საინტერესო გახლდათ ანდრია ჭოჭუას სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პედაგოგიური და ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც აფხაზური კულტურის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. სწორედ მისი თაონობით ყალიბდებოდა რესპუბლიკის კულტურული პოტენციალი მაშინ, როცა საბჭოთა კულტურა პირველ გზებზე ნაბიჯებს დგამდა.

ანდრია ჭოჭუა გარდაიცვალა 1965 წლის 17 აპრილს. მადლიერმა აფხაზმა საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო ამ დიდი ადამიანის ხსონას – სოხუმის ცენტრს ამშვენეს მისი ძველი, აფხაზეთში მის სახელს ატარებენ სკოლები და სოხუმის ერთერთი ქუჩა, 2009 წლის 17 აგვისტოს კი აფხაზეთში ფართოდ აღინიშნა ანდრიას ჭოჭუას დაბადებიდან 130 წლისთავი. უამრავი ნაშრომი შექმნილი ამ დიდ პატრიოტსა და მამულიშვილზე, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ანდრია ჭოჭუას სახელი სამუდამოდ დარჩება სალოცავ ხატად თითოეული აფხაზის გულში.

## მომავალი კაშაპა მარსკვლაში – თბილისში ბაბრელი ნანა არახამია ბამონდა



ეს გოგონა აფხაზეთში, გაგრში დაბადა, მაგრამ სამი თვის იყო, იქაურობის დატოვება რომ მოუხდა – მისი ოჯახი იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის აღმოჩნდა.

დღეს ნანა არახამიას, იგივე “იასენიას” (ფსევდონიმი) მოსკოვში კარგად იცნობენ. არაერთი კლიპი აქვს გადაღებული და მასზე, როგორც ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავზე, საშობალოდ დიდი იმედებს ამყარებენ და ფსონსაც დებენ... ის ახლა თბილისში თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად იმყოფება და მორიგი კლიპის გადასაღებად ემზადება.

მომღერალს ინტერვიუ ვთხოვეთ.

**– ნანა, მას მერე, რაც თქვენს ოჯახს გაგრის დატოვება მოუხდა, თუ ყოფილხართ იქ?**

– კი, ჩვენი ოჯახი იქ ხშირად ჩადიოდა, რადგანაც დედა გაგრელი რუსი მყავს და ბებია ახლაც

იქ ცხოვრობს, მას არ დაუტოვებია იქაურობა. თუმცა იქ ჩასვლა, გასაგები მიზეზების გამო, მამას არ შეუძლია, მან და შესაბამისად ჩვენც, სახლი დაგვარგეთ... სამშობლოში ყოფნა ძალიან მიყვარს...  
**– წლების წინ, ჩვენმა ოჯახმა აფხაზეთი რომ დატოვა, საცხოვრებლად სოჭში გადასახდით. სამი წლის წინ კი მოსკოვში გადავედი. ცნობილი კომპოზიტორი ვიქტორ დრობიშინი კასტინგს ატარებდა. საერთოდ, მის პროექტებში ბევრი ცნობილი ვარსკვლავი მონაწილეობს და მინდოდა, ჩემთვისაც მოესმინა. მოკლედ, მომისმინა და გაგხდი მისი “ვარსკვლავი”.**  
**– ე.ი. გაციმართლათ და კასტინგი წარმატებით გაიარეთ?**  
 – კი, გაციმართლა. თავიდან კასტინგზე მე და დედა წავყვით. შეხვედრა კი იყო დანიშნული, მაგრამ რეალურად არც ვიცოდი, სად მივდიოდი და რა შეიძლებოდა იქ მომხდარიყო, ახლა იმ პერიოდს, როგორც სიზმარს, ისე ვიხსენებ. ისე, არანაირი იმედი არ მოქონდა, რომ ყველაფერი გამომივიდოდა.  
 დრობიშინი რომ მომისმინა, თქვა, – ამ გოგონს გამოუვა, მისი შესაძლებლობების მხეკა, დიდი მომავალი ელისო და ასე დაერჩი მოსკოვში...  
**– და აღმოჩნდით კიდევ იქაურ შოუბიზნესში, სოში?**  
 – კი, ბევრი სიმღერა ჩაწერეთ, არაერთი კლიპი გადავიღეთ. რაც შეეხება ჟანრს, სხვადასხვა მართულებით მიწვეს ძალების მოსინჯვა. ახლა ერთი კლიპის გადაღებას აქ, თბილისში ვგეგმავთ.

**– რას გეგმვით მავ ახალ კლიპზე? შემთხვევით ეს სიმღერა ქართულ ენაზე ხომ არ არის?**  
 – თბილისში პირველჯერთან ერთად ჩამოვედი, ქალაქში რომ გავიარეთ, ძალიან მოგვწონდა ყველაფერი და აქვე მოვიდა იდეა, კლიპი ხომ არ გადავიღოთ? ვიქტორ დრობიშინსაც დაუურეთქეთ, მხარი დაგვიჭირა, რადგანაც იცის, რომ თბილისის ლამაზი ქალაქია. რაც შეეხება სიმღერას, არ არის ქართული, თუმცა დიდი სურვილი მაქვს, რომ ოდესმე ქართულადაც ვიმღერო. ეს ჩემს გეგმებში შედის. სამწუხაროდ, ქართულად ცუდად ვლაპარაკობ... უფრო ვერ ვლაპარაკობ, უბრალოდ, რადგანც მეჩემს. ეს საკმარისი არ არის.  
**– თბილისში პირველად ხართ?**  
 – არა, აქ მე და ჩემი ოჯახი ხშირად ჩამოვდივართ. ბებიამ, მამიდამ, ნათესავებმა თბილისში მყავს. ახლაც ბებიასთან ვსტუმრობთ მე და ჩემი პიარმენეჯერი. ისიც დავაპირებ და საოცარი შთაბეჭდილებები მაქვს.  
**– კლიპის გადასაღებად რომელი ადგილები შეარჩიეთ?**  
 – შარდენის ქუჩა. ვიდვორგოლის სიუჟეტი ასეთია: ქუჩის მუსიკოსი ვარ, მივდივარ ქუჩაში, ორ მუსიკოსთან ერთად, ვმღერი და ფულს ვაგროვებ. ბოლოს კი შეგროვებულ თანხას ხალხს, უბრალოდ გამკვლეებს ვურთავებ. ისინი გაცემული სახეებით მიყურებენ. ბოლოს ყველაწი მიერთდებიან, ვცეკვავთ და ვმღერივით.  
**– ვინ გადაიღებს ამ ვიდვორგოლს?**  
 – გადაიღებს ჯგუფი მოსკოვიდან ჩამოფრინდა ცნობილი რეჟისორის, გრიგორი ვოლგეის

ხელმძღვანელობით. მას ბევრი ცნობილი კლიპი გადაუღია ვარსკვლავებისთვის და ჩემთვისაც. მუშაობს რამდენიმე დღეზე და ივითყვები... მოკლედ, სერიოზული გეგმები მაქვს.  
**– რამდენი წლის ხართ?**  
 – 21 წელი.  
**– როგორია რუსული შოუბიზნესი, რომელშიც მოხვდით და როგორ მიგიღეს?**  
 – ძალიან რთულია იქ მოხვედრა, რადგანაც მიმდინარეობს ბრძოლა გადარჩენისთვის, მაგრამ მზად ვარ, ამ ყველაფერში ჩავერთო, გავეძლო და სირთულეები დავძლიო, რადგანაც ამის გარეშე ცხოვრება უინტერესოა. ემოციური ადამიანი ვარ და ეს შოუბიზნესი მთელი, ჩემთვის სწორედ ზედა ამოტრიალია.  
**– ამბობთ, რომ თმის ბაეში ხართ. უშუალოდ აფხაზეთის ომში თქვენს ოჯახზე როგორ იმოქმედა?**  
 – ჩვენ იქ დიდი ტკივილი მივიღეთ, დაგვარგეთ მამის სახლი. ფეხკიდლით სამშობლოს. როგორც გითხარით, დედის სახლი კი გადარჩა, ომის შემდეგ ბებია იქ დარჩა, რადგანაც რუსია... ეს ყველაფერი ძალიან რთული და მტკივნეულია გადასატანად, ყველას გულისტკივილია. დარდი გვახრბობს, სამშობლოში თავისუფლად ვაშრობ და ბაბრუნება. ჩვენებს ყველას აფხაზეთთან დაკავშირებით სევდიანი მოგონებები აქვთ. დიას, ჩვენ ვართ დევნილები აფხაზეთიდან, მაგრამ საბუნდოვროდ, ოჯახიდან გამომდინარე, როგორც ვიქვი, ხანდახან გვიწყვს სიღმე სამშობლოში ჩასვლა. გვიყვარს აფხაზეთი და მის გარეშე ცხოვრება ვერც წარ-

ლ. შანი





სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

ბატონო ალექსანდრე! უზომოდ გაგვახარა ცნობამ იმის თაობაზე, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი "ღირსების ორდენით" ("Орден Почета") დაგაჯილდოვათ. გარდა თქვენი პიროვნული ღვაწლის დაფასებისა, ამ ფაქტში ჩვენ ვხედავთ რუსეთის პატივისცემას იმ საქართველოსა და მისი ხალხისადმი, საზოგადოებისადმი, რომელმაც თქვენნაირი ჭეშმარიტი მამულიშვილი, პატრიოტი ქართველები გამოზარდა.

საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებისას გამოვთქვამდით გულისტკივილს იმის თაობაზე, რომ მასში მონაწილეობას არ იღებდნენ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და მისი პოლიტიკური გუნდი. არა და, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა ღრმად და დარწმუნებულად, რომ ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოსყვანა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დღეს, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიაზე ქმედითად არავის ხელეწიფება, რაც დღის წესრიგში ავტომატურად აყენებს ქართულ პოლიტიკაში თქვენი მონაწილეობის აუცილებლობის საკითხს!

გამჭრიახობით, მოვლენათა ანალიზისა და წინასწარი განჭვრეტის უნარით, განათლებით, გენეტიკური ხაზით (თქვენი პაპა ხომ ილია ჭავჭავაძისეული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლდათ), თავშეკავებულობით თუ სხვა იმ თვისებებით, რაც ესოდენ აუცილებელია იმ სახელმწიფოს მეთაურისათვის, რომელსაც კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი სახელმწიფოებრიობის დაკვიდრებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხრივ.

ჰოეზიის კუთხე

ბომბიცე, ოკოლხეში თუთა გომბიცე, ჯგეშებურო, ოკოლხეში თუთა, გვენომიგარჩხილე ლიხი, აუადპარა, ურთა... უნაზღუსე ენორწიენს უკოროცხუ ქუა, ქიგიშინი, ვორექ სქანი კიდირიში სქუა... ქიგიშინი, სოიშახ ონჭედ სქანი ველ დო გვალა, დიოსკურს დო პიტიურტის თიშა ქიმიეთვალა... მუნაფეფი გეგნიფარი ოკოლხეში თუთა, ქაფოსქიდათ ართ-მაჟიას მა დო, სი დო ურთა... ჩქინ ორთაშე, ანდლარიშო, მაპალუნა მუთა, გომბიცე, გომბიცე ოკოლხეში თუთა...

ნანა თქუანდ

ჩხეჩხე ღუმეს ვულუნადით ლებინს - კოტოშ ნახაშას, კახლას მიკომცხანტუნდეს მარაშნას დო კალანდას... დორთინიში ჭყოლოფუა ჩქინ ფანიას ვეგნოწუმ, ბაბა დღაშ დო სერით ხანდენდ - ბაბას დიო გამურთუმ... ნანა თქუანდ: თქვა ქგვალეთ, ჭიჭე ყვალ დო დიდი ღუმე...

რამაზ კუპრა

შემეცნება

მიწიერია მხოლოდ ხორცი და წამიერად არ უწერია სულს დავანება აქ რომ ეღირსოს, მისთვის უცხოა ამ ქვეყნიური სხვა კარიერა, ნათების გარდა პოტური აღმავრების დროს. მისტიკურია ვით უხორცო ეშმას გონება, დოგმა - სიმბოლოდ თვით სიცოცხლე აქ მოარული. გარდა გრძობისა ღვთაებრივი ზეშთაგონებად აღამად ყოფნის მოწოდებით სეგდა ფარული. არაფრად ვაგდებ ჯოჯოხეთურ ცხოვრების იმ აზრს, რომელიც მესმის მარადიულ ერთ ადგილიდან. გონება გასცდა ამ ქვეყნიურ არსების მიზანს, ვაგლახ, საფლავში გადვიძებულს ლეთარგიიდან. რა უნდა იყოს შეუცნობი იმ გადალახვის, ნუგეშსაცემად ბიბლიაშიც მოვიყვებთან. აღგოროული განმარტება სხვადასხვა სახის, რელიგიური ხასიათის მოტივებითა. ბუნება პბადებს ყოველ სულდგმულს მრავალ ტირაჟით, წყალში მზის სხივით განუწყვეტლივ სიცოცხლეს სახავს და ბოლოს მაინც სიცოცხლე მაინც მირათ, რომ ემონება დაუნდობელ ქვესენელის მსახურად. და თუ გონებით პომოსისგან შორსაც წახვედი, ვგი საწუთრო კუნაპეტი გაუმზიანე; მწყურვადეს - წყალი, მშიერს - პური მადლის სახელით ღვთიური მადლი - შემეცნება გაუზიარე. გურამ ჯიქია, ჩხოროწყუ, სოფ ლესიჭინე

ბანათიებული ჯურღმული

(გაგრძელება მე-4 გვერდიდან) P.S. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ტრავადის მოწმე ვაგხდი. თბილისში, გმირთა მოედანზე შუახნის ქალს სატვირთო მანქანა საშინელი სისწრაფით დაეტაკა და შორს მოისროლა. შოკში ჩავარდნილი წაქცეული ქალი გონს რამდენიმე წამით მოვიდა და, ვიდრე სიკვდილისწინა აგონია გათანჯავდა, პირველი, რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ კაბა გაისწორა, უხეხულებად ხომ არ გამოვიყურებო.

მართლაც საოცრად იყო განათებული თბილისის სპორტის სასახლე, სადაც 8 მაისს ჩატარდა ავადსახსენებელი "ნაციონალური მოძრაობის" მორიგი ყრილობა. მაგრამ ეს მაინც გახლდათ ჯურღმულში მოწყობილი სატანათა თავყრილობა, რომელსაც ვერაფრით ამქვეყნიური ენერჯია ვერ გაანათებს! და რაც მთავარია, ყრილობა გაიხსნა ლუდვიგ-ვან ბეთჰოვენის ორატორია "დიდების ოდიო", თუმცა, ეს პასაჟი აშკარად უნდა დაეუწუნოთ ღონისძიების ორგანიზატორს, რადგან ზომბად აღმსდგარი პოლიტიკური გეგმების თავყრილობას მოცარტის რეკვიემიდან საპანაშვილო ლაკრიმოზა უფრო მოუხდებოდა.

თუ როგორ "მიძუნა" იგი და მისი ოთხი მეგობარი ერთადერთმა ცოტნე ბაკურიამ, ერთ-ერთ კაფეში მომხდარ ჩხუბში. რაც შეეხება ვიგი უგულავას, იგი ისეთი რიხით გამოვიდა, თითქოს მას არ ბრალდებოდეს ქალაქის ბიუჯეტიდან 50 მილიონი ლარის მოპარვა და თითქოს მას მალე არ მოუწევს ციხის კედლების ხეხვა! რატომღაც, უგულავამ ისიც ვერ გაიხსენა, თუ როგორ იმყოფებოდა "საქმიანი მივლინებით" ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლას-ვეგასში, სადაც კაზინოების და სათამაშო სახლების მეტი არაფერია!

ჩემი ნენე დედაშენი რვა ნომერ კენტი აბოლებს, ჩემი ნენე ჭადზე ასვამს ჯვარებს... დედაშენი შარვლით ტაბარს ამდორებს, ჩემი ნენე ჩადრში მალავს ხატებს... დედაშენი „მერსედესით“ დადის და, ჩემი ნენე მიუძღვება გუთანს... დედაშენს „ჟადორეს“ სუნი ასდის და ჩემი ნენე ბალახის სუნს სუნთქავს... თქვენთან როცა რიყარა, მაშინ ჩვენთან უკვე სულის ორთქლი დგანა, ბიბლორდები გიშრიანლებთ ქარში, ჩვენს სოფელში იბურტვლება ყანა... დედაშენის ვარცხნილობა „კარა“, ჩემი ნენე წელზე იშლის დალალს... ლეჩქიდან მხოლოდ თვალებს აჩენს, დედაშენი მხოლოდ თვალებს მალავს... ჩემი ნენე წარსულიდან ხენეშის, დედაშენი ევროპულად ოხრავს... თქვენთან ახლა მოდაშია სექსი, ჩვენთან ბავში კვლავ წეროებს მოჰყავთ... დედაშენი ეშმაკის გზას იბედებს, ჩემი ნენე სამოთხის გზას გაშლის... დედაშენი თორმეტ აბორტს იკეთებს, ჩვენ კი უკვე თორმეტნი ვართ სახლში... ვფიქრობ ასე, ვსლუკუნებ და მტკიავ, სურვილები განცდებს ვეღარ მართავს... დედაშენი - ქართველ ქალის სახეა, ჩემ ნენეს კი ებახიან თათარს (?)...

ერთი სიტყვით ყველაფერი იყო ნაცთა თავყრილობაზე - დროშების ფრიალი, ომხიანი "გაუმარჯოს", გულზე მუშტის ბრაგუნი და ორატორთა რთილ დაპირებები, რითაც ისინი ცხრა წელი კვებავდნენ მათ მიერვე გაუბედურებულ საქართველოს მოსახლეობას, მექრთამე აღამაშნის სახედაკარგული ქოსმენი ნავაროს მიერ ჩატარებული კვლევის ყალბი ციფრებით მანიპულირება... მათ მხოლოდ ახალი ხელისუფლება ლანძღეს, რადგან სხვა სათქმელი არაფერი ჰქონდათ! და, რაც მთავარია, ნაციონალთა ყრილობის დარბაზს აშკარად აკლდა "ნაციონალთა" ბრენდად ქცეული უმთავრესი ატრიბუტი - კარგი ლამაზი ცოცხი, რამაც იმსხვერპლა კიდევ ამ მანიაკთა პოლიტიკური მომავალი. ჯანდაბამდეც ჰქონიათ გზა! ამბობენ, "იმედი ბოლოს კვდება". ნაციონალები უკვე მოკვდნენ და ქართველი ხალხი საბოლოოდ დაასამარებს მათ იმედებს 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებზე! აქედანვე მოგიწოდებთ ძმებო და დებო, მეგრულეთო! ნაციონალების მხარდაჭერა დიდი სირცხვილია!

ერთი სიტყვით ყველაფერი იყო ნაცთა თავყრილობაზე - დროშების ფრიალი, ომხიანი "გაუმარჯოს", გულზე მუშტის ბრაგუნი და ორატორთა რთილ დაპირებები, რითაც ისინი ცხრა წელი კვებავდნენ მათ მიერვე გაუბედურებულ საქართველოს მოსახლეობას, მექრთამე აღამაშნის სახედაკარგული ქოსმენი ნავაროს მიერ ჩატარებული კვლევის ყალბი ციფრებით მანიპულირება... მათ მხოლოდ ახალი ხელისუფლება ლანძღეს, რადგან სხვა სათქმელი არაფერი ჰქონდათ! და, რაც მთავარია, ნაციონალთა ყრილობის დარბაზს აშკარად აკლდა "ნაციონალთა" ბრენდად ქცეული უმთავრესი ატრიბუტი - კარგი ლამაზი ცოცხი, რამაც იმსხვერპლა კიდევ ამ მანიაკთა პოლიტიკური მომავალი. ჯანდაბამდეც ჰქონიათ გზა! ამბობენ, "იმედი ბოლოს კვდება". ნაციონალები უკვე მოკვდნენ და ქართველი ხალხი საბოლოოდ დაასამარებს მათ იმედებს 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებზე! აქედანვე მოგიწოდებთ ძმებო და დებო, მეგრულეთო! ნაციონალების მხარდაჭერა დიდი სირცხვილია!

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია უდიდესი გულის ტკივილით იუწყება, რომ 69 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი **რენე კალანდია** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს, აგრეთვე სრულიად საქართველოს. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ჯალალანია-ჯალალონიების საყურადღებოდ

მიმდინარე წლის 10 მაისს შეწყდა შემოწირულობების მიღება, რადგან საგვარეულო ხატი უკვე დაიწერა და კურთხევაც მიეცა. რაც შეეხება გვარის დალოცვას, რომელიც დანიშნული გახლდათ 2014 წლის 25 მაისს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის განკარგულებით გვარების დალოცვა დროებით შეჩერებულია და დანიშნული პროცედურა ჩატარდება გვარების დალოცვის რიტუალის აღდგენის შემდეგ, რის თაობაზეც დამატებით ეცნობება საგვარეულოს. ჯალალანია-ჯალალონიების საგვარეულო ხატი ამჟამად ნაკურთხი და დასვენებულია როლანდ ჯალალანიას ბინაზე (თბილისი, კრწანისის რაიონი, მანანა მეღაძის ქუჩის №11-ში (ყოფილი - მესამე ნაღიკურის ქუჩა), ტელ. 599-573-322, საიდანაც გადასვენდება ფონიჭალის წმინდა ნიკოლოზის მშენებარე ეკლესიაში, მისთვის სპეციალურად გამოყოფილ კუთხეში. ეკლესიის მშენებლობა მალე დასრულდება. სინანული ნუ შეიპყრობს მათ, ვინც ვერ მოასწრო შემოწირულობის გადახდა ხატის დასაწერად, რადგან შეუძლიათ ნებისმიერი თანხა შესწირონ ეკლესიას ან ბავშვთა და უმწყო მოხუცთა თავშესაფარს, რაც, მოძღვრის განმარტებით, იგივე მიზნით გაწეულ ხარჯად ჩაითვლება. ხოლო ხატის საკუთარ ოჯახში გადასვენების მსურველები დაუკავშირდნენ როლანდ ჯალალანიას ზემოთ მითითებულ ტელეფონზე.

როლანდ ჯალალანია

“უცნობი” არც ისე უცნობი



სასწრაფოდ განათავსა “ფეისბუქის” პირად გვერდზე დავით კოდუას მდგომარეობის ამსახველი ფოტოები, თან ჩვეული უტიფრობით გაიშვირა ხელი ეხლანდელი მთავრობისაკენ და დარწმუნებულად განაცხადა, რომ ეს სწორედ “ოცნებისტების” მიერაა გაკეთებული. მტკიცებულებად ის ფაქტი მოჰყავდა, რომ ეს ფაქტი ძალიან ჰგავდა წიკლაურის ცემის ფაქტს, რომელსაც ასევე შეაფორმინებინა დახვდნენ, ელექტროსიგნალით გააბრუნეს და შემდეგ სცემეს! თუმცა, ჟორჟოლიანს რატომღაც არ გახსენებია პარლამენტარი ვალერი გელაშვილი, რომელიც მისი მეუღლის ორგანიზებით ასევე სასტიკად სცემეს ქალაქის ცენტრში, დღისით-მისით, ყველას თვალწინ!

“ჩვენ ხომ ესლა არ გვეჯერა რომ ეს ინაპლანეტებელმა გააკეთეს!!!”, – წერდა ფოტოების კომენტარებში ნანუკა ჟორჟოლიანი.

შსს-ს ინფორმაციით დავით კოდუა შვილთან და შვილის ძიძასთან ერთად სიღამაზის სალონში იმყოფებოდა. როგორც სალონის თანამშრომლები აცხადებენ, დავით კოდუა სალონის შესასვლელში ტელეფონით საუბრობდა, ცოტა ხანში მათ გაიგეს ხმაური, წივილი, ბავშვის ძიძა ყვიროდა; როდესაც გარეთ გამოვიდნენ, დავით კოდუა უკვე ნაცემი იყო, ძირს ეგდო და გონება დაკარგული ჰქონდა.

როგორც სალონის, ასევე მიმდებარე მაღაზიის თანამშრომლები აცხადებენ, რომ მათ არ დაუნახავთ, კონკრეტულად რამდენი ადამიანი დაესხა თავს დავით კოდუას, იყვნენ თუ არა ნიღბებში ან შეიარაღებულნი.

მათი თქმით, როდესაც მათ ხმაური გაიგონეს და გარეთ გამოვიდნენ, დავით კოდუა უკვე ნაცემი იყო.

ამასთან, აბაშიძის 52-თან ახლოს მდებარე ობიექტების თანამშრომელთა ინფორმაციით, შემთხვევის ადგილთან ახლოს არც ერთი კამერა არ არის დამონტაჟებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შსს-მ დავით კოდუას ცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველ განყოფილებაში მივიდა 1976 წელს დაბადე-

ბული ნოშრევან ნამორაძე, რომელმაც განაცხადა, რომ შურისძიების ნიადაგზე სცემა დავით კოდუას.

ნოშრევან ნამორაძე ბიზნესმენია, რომლის მეუღლემ, ნინო სუთიძემ 25 აპრილს ინგა გრიგოლიას “რეაქციაში” ისაუბრა 2008 წელა მომხდარ ფაქტზე, როცა მის ქმარს ერეკლე კოდუას დავალებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი “ჩაუდეს”.

“ჩემი მეუღლე ნოშრევან ნამორაძე ბიზნესმენი, “ტიფლის დეველოპმენტს” დამფუძნებელი გახლდათ. 2008 წელს ერეკლე კოდუას დავალებით შემოვიდნენ სოფლის თანამშრომლები, ჩაგვიდეს დიდი ოდენობით ნარკოტიკი. დაიჭირეს ჩემი მეუღლე, რომელიც შემდეგ 500 ათასი ლარისა და წილის დათმობის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. მე პირადად კი სოფლის თანამშრომლებმა შუა ქუჩაში გამაჩერეს და ჩემი კუთვნილი ავტომობილიდან “რეჟერგერირდან” გადმომხვეს. ერეკლეს რომ მანქანები მოსწონდა, ეს არავისთვის სიახლე არ არის”.

ასე რომ, კოდუა მისი ოჯახის მიერ ჩადენილ მრავალ დანაშაულთა შორის ერთ-ერთს ემსხვერპლა და არავინ იცის წინ კიდევ რამდენი რისხვით აღსავსე ადამიანის მუშტი მოხვდება მათ დინგში. ნანუკა ჟორჟოლიას კი აშკარად არ გამოუვიდა მისი მახლის სასტიკად ცემის (რასაც ნამდვილად ვერ მოვესალმებით) ორგანიზებაში ახალი ხელისუფლების დანაშაულებად და უნდა თუ არ უნდა, დანაშაულის მიზეზის საფუძველად საკუთარი ოჯახის უკანონო და აღვირახსნილი ქმედებების აღიარება მოუწევს!

ჩვენის აზრით კი, “ლინჩის წესით” სამართლიანობის აღდგენის მთავარი მიზეზი ამერიკელების მიერ ჩვენზე თავს მოხვეული ავადსახსენებელი “კოპობიტაცია” გახლავთ, რომელმაც ფაქტობრივად პაპში დაკიდა “ოცნებისტა” მიერ რიხიანად შეპირებული “სამართლიანობის აღდგენის” ყველასათვის სასურველი პროცესი. მდგომარეობა კი დაამძიმა და “სამართლიანობის აღდგენის” პროცესების ინდივიდუალურად აღსრულების სისტემას სათავე დაუდო, ამას წინათ, ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ “ნაციონალებისათვის” რაღაცების პატიება მოგვიწვესო. თუ გაე-

თოვალისწინებით იმ გარემოებას, რომ ალასანიას და ნაციონალები წლების განმავლობაში ერთ სიბრტყეში განიხილებოდნენ და ალასანიას დღესაც მჭიდრო მეგობრულ თუ საქმიან კავშირში იმყოფება ავადსახსენებელ “ნაცებთან”, მას “ეპატიება” ამგვარი განცხადების გაკეთება. მაგრამ, როგორ შეიძლება იმის არგათვალისწინება, რომ არავის აქვს უფლება, სასამართლოს გარდა, განსაზღვროს დამნაშაულის ბედი და ესა თუ ის სანქცია დაუწესოს კონკრეტულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს. მაგრამ, ვერ გავივია, ვინ მისცა ირაკლი ალასანიას დანაშაულის პატიებისა თუ არაპატიების კომპეტენცია?

თანაც, პატიება სხვების მაგივრად აშკარად გაუგებარია: ირინა ენუქიძეს მაგივრად ვის გვაქვს უფლება, რომ ვაპატიოთ ჩადენილი სისასტიკე, ნაწამები პატიმრების მაგივრად ვის აქვს უფლება, რომ ვაპატიოთ ცოცხების გამოყენება, პოლიტპატიმრების ციხეებში გამომწვევებზე ვინ უნდა აგონ პასუხი, თუ არა ნაციონალებმა?

ისიც ფაქტია, რომ ქართული საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია ირაკლი ღარიბაშვილის მოწოდებას წინასაარჩევნო მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე, რომელიც თუნდაც დროებით ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე ნაციონალებს.

ამას წინათ ერთმა ნაზანდიტარ-ნაპოლიტიკოსარმა არსებამ (რომელმაც დიდი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში) განაცხადა, რომ საქართველოში ტერორისტული აქტების სერია დაიწყო. მე დიდ პატივს არ ვცემ ამ არაკაცის ობმოდებულ აზრებს, მაგრამ, ისიც უნდა ვაღიარო, რომ ამ შემთხვევაში მისი ბაგენი ჭეშმარიტებას დადებენ და თუ ხელისუფლებამ დროულად არ დაიწყო სამართლიანობის პროცესის აღდგენა, ხალხი იძულებული იქნება ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად დაუდოს სათავე შურისძიების შეუვალ პროცესებს, რაც აშკარად არ არის მისასალმებელი და დამატებით საფრთხევებს შეუქმნის ნაციონალებისაგან დაწინხულ, გაძარცვულ და პატივყრულ; ადამიანებს.

რ. შალაგაბერიძე

“ბიძინამ ეკლესია გამოიყენა და გადააგდო”

(თურმე არც მთლად სამადლობლოდ გვექონია საქმე)



ბოლა საქართველოს “გაპომოსექსუალების” ევრო-ამერიკული პროგრამის ამოქმედებას, “საკონცნელი პირი საფურთხებლად არ გაიხადა”, გვერდზე გაიწია და ჩრდილში დგომა ამჯობინა.

“მოკლედ, ბიძინამ ეკლესია გამოიყენა (არჩევნების მოსაგებად) და გადააგდო. იმისდა მიუხედავად, რა იყო მისი მოტივები, ობიექტური შედეგი პოზიტიურია: ეკლესიას უთხრეს, რომ მის ჭკუაზე არ ივლიან. გამოვიდა, რომ მიშას დროს უკეთეს პოზიციაში იყო: მიშას ეწინოდა, რომ ეკლესია დიად გადავიდოდა ოპოზიციის მხარეს და ყველანაირად თავდავდა. ეკლესია აღმოჩნდა მდგომარეობაში, როცა ხელისუფლების შანტაჟი შეეძლო, და თავში აუვარდა. ახლა კი წაგებული გამოვიდა: საბოლოოდ, დაეხმარა ოპოზიციას, მოეშორებინა მიშა, და რა ხეირი? ახლა ვისთან აქვს წასასვლელი? ბურჯანაძის და ჯონდის ამარა დარჩა? შევდივარ მის მდგომარეობაში.

არა, ალბათ კიდევ გაიბრძოლებს. ახლა გამორჩნდება, რისი შინა აქვს დამოუკიდებლად. ან, მეორე ვარიანტი – გადაუდგებს ბიძინა ერთ-ორ ძვალს და დასჯერდებიან. ლოგიკურად, შიგნითაა შეიძლება გაუჩნდეთ პრობლემები. უფრო საინტერესო გახდა ცხოვრება.

ისე, შიხიაშვილისნაირი ნაციონალი ვითრების გადაგდებასაც აპირებს მეონი. თუ იზამს, ესეც კარგი იქნება – ვითრებები ამას ყველანაირად იმსახურებენ. მაგრამ ეს ბიძინა კი გამოდის პროფესიონალი გადაგდებელი.

მოკლედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბიძინამ შეიძლება ახალი ასპარეზო შეუქმნას “შესამე ძალას”, რომელიც ცალსახად ეკლესიაზე იქნება ორიენტებული. რამდენად გამოვა ეს ამბავი, სხვა საკითხია. შეიძლება თან-

რა გახდა ზუბედილი 19 წლის წვევამდელის ბარდაცვალების მიზეზი?

აბაშის მკვიდრი, 19 წლის წვევამდელი თემურ ჩოჩია ზუგდიდში განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოში გარდაიცვალა. მართალია, “შეოცნებეთა” ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოხვლის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები კვლავაც ხდება, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ ან ჯარში იწვევენ ჯანმრთელობაშერყვეულ ადამიანებს, ან, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ძალადობის ფაქტებს სამხედრო მოსამსახურეთა შორის.

შემთხვევა აპრილის მიწურულს, მაშინ მოხდა, როცა გარდაცვლილი სხვა ჯარისკაცებთან ერთად მოსასვენებელ ოთახში ტელევიზორს უყურებდა. გარდაცვალების მიზეზად გულის შეტევა სახელდება.

თემურ ჩოჩია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაახლოებით 16:00 საათზე შეიყვანეს, თუმცა, როგორც საავადმყოფოში აცხადებენ, კლინიკაში მიყვანისას მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო.

გარდაცვლილი მეორე დღესვე გადასვენეს ქუთაისის ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროში, სადაც გარდაცვალების ზუსტ მიზეზს დაადგენენ. მომხდარის შესახებ ინფორმაციას ფლობს შს სამინისტროც, როგორც შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვითხრეს, გამოძიება უკვე დაწყებულია.

„საქმე 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს“, – აცხადებენ შს სამსახურში.

საპ. იფს.

“გოგლედი აუცილებლად “ზვიადისტი” უნდა ყოფილიყო... მე მაპლავდნენ 1 მილიონ დოლარს”



საიდუმლო კვლავ ამოუცნობი რჩება. 31 მარტს გამსახურდიებმა კვლავ მიმართეს ხელისუფლებას თხოვნით, ჩატარდეს ობიექტური გამოძიება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეზე.

სანამ პროკურატურა გადაწყვეტილებას მიიღებს, გვინდა, მკითხველს კიდევ ერთხელ მოუყვებთ იმ გზის შესახებ, რომელიც დღევანდელი პრეზიდენტი 1993 წლის სექტემბრიდან ხობის ტრაგიკულად განვლო. აი, რას იხსენებს ზვიად გამსახურდიას საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში, ოთარ უბილავა:

სანამ პროკურატურა გადაწყვეტილებას მიიღებს, გვინდა, მკითხველს კიდევ ერთხელ მოუყვებთ იმ გზის შესახებ, რომელიც დღევანდელი პრეზიდენტი 1993 წლის სექტემბრიდან ხობის ტრაგიკულად განვლო. აი, რას იხსენებს ზვიად გამსახურდიას საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში, ოთარ უბილავა: - “1993 წლის აგვისტოში ზვიად გამსახურდიამ ჩვენთან დაკავშირებით საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა - აფხაზეთში, ქართულ ფრონტებზე, სიტუაცია უფრო დამძიმდა და ასეთ დროს სამშობლოში ყოფნა არ არის. ამ გადაწყვეტილებაზე ზუგდიდში მყოფი მისი მხარდაჭერების დაპირებებმა იმოქმედა, - საქმარისი ძალა გვყავს (დაახლოებით 20 000 კაცი) და შენი დაცვა არ გავიჭირებდით. მე ბედის მიმართულებით ვიყავი ფრონტზე, როდესაც ზვიადს დელეგაცია ამ დაპირებებით გახვალა. ძალიან გამოვიწვირდა, რომ გავიგე, ისინი გროზნოში შევუღმფრენით გაფრინდნენ. თან მიხერს, - შევუღმფრენი ოთარ ფაცაციათ თხოვნით შევარდნაძეს ფრონტიდან მოუხსნია(!) და მიუციაო. ოთარ ფაცაცია იცოდა, რომ დელეგაცია გროზნოში ზვიადის დასაცვლით მიდიოდა. სავარაუდოდ, ეს შევარდნაძესაც უნდა სცოდნოდა. მიუხედავად იმისა, რომ საპაერო სივრცე მაშინ დაუცველი იყო, შევუღმფრენი მშვიდობიანად გაფრინდა და გამოფრინდა...”

სექტემბრის შუა რიცხვებში ზუგდიდში უზენაესი საბჭოს სესია გაიმართა. სესიაზე სამხედროებიც იყვნენ. ორიოდე დეპუტატი - შეეწინააღმდეგა ზვიადის საქართველოში ჩამოსვლას. იარაღშემართული სამხედროები სცენაზე აცვივდნენ და აყვირდნენ, - თქვენ ვინ გკითხვობთ, პრეზიდენტს ჩვენ დავიცავთო.

გვიან ღამით სენაკიდან მომავალ პრეზიდენტს შუა გზაში ცეცხლი გაუხსნეს. დაცვის წევრები მანქანის ქვეშ შეძრწუნდნენ და ზვიადსაც ასე ურჩიეს... პრეზიდენტმა იუკადრისა ასე მოქცევა... სწორედ იმ ღამეს ზუგდიდში დაბრუნებულმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სახელმწიფო დაცვის სამსახურის შექმნის ბრძანებას. თუმცა გვიანი იყო - გადაძინებულები და სამთავრობო ჯარების ნაწილები ყოველი მხრიდან გვიტყუებდნენ; ამიტომ პოზიციიდან ხალხი დროულად ვერ მოვსხენით.

ამასობაში “მხედრონი” ზუგდიდს მოადგა. ზვიადს სოფელ რუხში იყო. 26 ოქტომბერს ჩავედი რუხში. გავიგე, რომ აფხაზეთი ჩამოსულიყვენ ჩვენი მიმოსაღობარაკებლად, რათა ზვიადი აფხაზეთში გადაეყვანათ. მაშინ ვფიქრობდი, რომ უცხოელ სამხედროებს საქართველოს დენილი პრეზიდენტის დაცვა არაფრად სჭირდებოდათ, ზვიადის აფხაზეთში გადასვლას სულ სხვა მიზანი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებდა. აფხაზეთში გადასვლაზე არც ზვიადს უთქვამს რამე ჩემთვის.

მოუტანიათ ხელშეკრულება აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე. მასზე ხელისმწერის სანაცვლოდ პრეზიდენტს რუსები დახმარებას და თბილისში პრეზიდენტად დაბრუნებას სთავაზობდნენ.

“ჩალაქ ზუგდიდში პრეზიდენტის განადგურების საკითხს უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურის მოადგილე, პოლკოვნიკი ბასიკაშვილი ხელმძღვანელობდა. მას ჩემი თანამებრძოლების დახმარებით რამდენჯერმე შევხვდი, ბასიკაშვილის თქმით, მკვლელი აუცილებლად “ზვიადისტი” უნდა ყოფილიყო. ამასთან, მოკვლის-თანავე, კვლის დასაფარავად პრეზიდენტის ცხედარი კახეთის რეგიონში უნდა წაეღოთ. მე მაძლევდნენ 1 მილიონ დოლარს, რომელიც, როგორც მეზუზნებოდნენ, ზვიად გამსახურდიას თან ჰქონდა და მიბრუნებოდნენ საზღვარგარეთ გაყვანას. ჩემს კითხვაზე, ვისგან მოდიოდა ეს ბრძანება, მხოლოდ ერთს მპასუხობდნენ, - ქვეყნის პირველი პირისგანო.”





სამშობლოს დიქსელური შვილები



ოთარ დადიანის ნაირილი, ავსტრიის ფრონტიდან გამომგზავნილი მისულისადმი

18 ივნისი, 1916

„ლილის ქირიმე! გაკოცებთ იმდენს შენ და ბაღებს, რამდენიც მენატრება თქვენი ნახვა. ლილი, გენაცვალე, შენი წერილი მივიღე 28 მაისის ნაწერი და შემდეგ არა. ჩვენ ახლა წინ ვართ წასული ავსტრიის ქვეყანაში და ფორჩა ძაან უკაცრავად არის.

ჩემი დეპეშა, ორი ამ თვის ნაწერი, მიიღეთ თუ არა? თან წერილებიც გამოგიგზავნე. უთუოდ დააგვიანდება, ერთს ადრე მიიღებ-დი, რადგანაც გავატანე რუსეთში მიმავალ ფერშალს. სხვა, მუშნი და მე დიდი გაჭირვებას შევხვდით 30 მაისში. უჩა და მისი ორმოცდაათი ჩემი, სადაც ვიყავით მუშნი და მე (ჩვენ ახლა ვართ უჩასთან, ჩემნების პოლკში) დილის ხუთ საათზედ უჩას ნინამძღოლობით ვიდექით. მდინარე დნესტრს გაღმა იყო გამაგრებული მტერი. უჩას ბრძანებით დავწყვეტე და ორ-ორს უნდა გადაგვეცურა მდინარე, რომელიც ძაან დიდია.

რალა გაგიგრძელო, ყველაზედ წინ მე ჩავხტენი ცხენიანად დნესტრში. თან გამოიყვანა სამი ჩემი. ორი იქვე მოკლეს, ერთი ფეხში დაიჭრა. მტერმა მართლაც რომ ჯოჯოხეთური ცეცხლი დაგვიხრია თოფებიდან და პულემოტებიდან. ყველაზედ წინ გავვიდი თუ არა, დავუწყე იქვე, ნაპირზედ მყოფ მტერს სროლა. ამრიგად, ყველანი გამოვიდნენ გამოღმა, ე.ი. მტრის ნაპირზედ, მაგრამ ვაი ასეთ გადმოსვლას! დაგვიჩაბეს თუ არა, ასე ცოტანი ვიყავით, ნამოვიდნენ იერიშით, მაგრამ იკადრეს უკანვე გაბრუნება, ისეთი სროლა ავუტყებთ სამი საათნახევრის განმავლობაში. მოვიგერიეთ ავსტრიელების ყველა იერიში და ის იყო, ორი როტა ქვეითი ჯარიც გადმოვიდა ჩვენს მოსახმარებლად. იმ ნამშივე ქვეითთა ჯარმა წინიდან შეუტია და ჩვენ კი ცხენდაცხენ, მარცხნით მოვუარეთ, ასეთი იერიშით წავვედით. ცოტა სროლის შემდეგ დავეტაკეთ და ბევრი დაიხოცა და დაიჭრა. ბევრმა უშველა თავს გაქცევით. ქვეითი ჯარი რას დაგზოგავდა. ჩვენი ცხენები ფეხს ვერ ადგამდნენ. მე მაინც ერთ ჩემთან ერთად გამოვივიდე ავსტრიელებს და სამი სალადათი დავიჭირეთ. ტყვეები იმ ჩემს გაატანე და მე ცოტა გვერდზედ წამოვიდი. უცრად შევეფეთე შვიდ ცხენოსან ავსტრიელს. მე ჩვენები მეგონა და 60 ნაბიჯზედ მივიდი. დამინახეს თუ არა, შეჩერდნენ. ახლოს ჩემი მომხრე ადამიანი არ იყო, არც ცხენის იმედი მქონდა, რომ გაექცეულიყავი. უცებ ჩამოვხტი ცხენიდან და თოფი გადმოვიღე. ერთმა ცხენდაცხენ მესროლა.

მაშინ მეც ვესროლე და ჩამოვადე ცხენიდან, ძაან გულთ მინდოდა ცხენის დაჭირვა, მაგრამ შემეშინდა, არ მომკლან-მეთქი და გავსწიე ჩვენისკენ. გზაზედ დავწვიე ჩემს და მასაც შეემატა ერთი ტყვე. სულ 20 კაცი, თოფებიანად, უჩას მივართვით. უჩამ ესენი ყოველივე მოახსენა დივიზიის კამანდირს კნ. ბაგრატიონს. მან კი მოახსენა კორპუსის კამანდირს და კორპუსის კამანდირმა მინახულა ლაზარეთში (ვინეტი რამოდენიმე დღე, ციება მანუხებდა), დიდი მადლობა მითხრა და თავისი ხელით ჩამომკიდა წმინდა გიორგის ჯვარი. პოლკიდან კი ცალკე ვარ წარდგენილი მგონი აფიცრობაზედ და როცა დანარჩენ ჯვრებს მივიღებ, ერთი სიტყვით მოგწერ, რაზედაც წარმადგინეს. მე ეხლა ვარ ჩვენი დივიზიის შტაბში, რადგანაც ჩვენი პოლკი ჩემი ავადმყოფობის დროს 190 ვერსტით წინ წასულა და იმას უნდა დავენიო.

უჩა, მუშნი და ვალოდია ბერიძე წარდგენილნი არიან აფიცრის წმ. გიორგის ჯვრებზედ. მეტი ჯილდო აფიცრისათვის არც შეიძლება და არც არის. მუშნის ცხენდაცხენ ხელჩართულ ომში ორი ტყვეით ცხენი მოუკლეს, თვითონ ბევრჯერ გადარჩა. 30 მაისში ტყვედ დავიჭირეთ 350 კაცი და 2 პულემოტი. ეხლა სულ ჩვენი საქმის შესახებ არის ლაპარაკი. დივიზიის კამანდირმა

რომელიც ახლა მკლავში და მხარში დაჭრილი რუსეთში წევს, მგონია მარჯვენა მკლავი გაუხმა. აქ თათრის ორი ასეული, მომწყვედი თხრილებში, ამ საშინელი ქარბუქის დროს ნახევარზე მეტი დაიხოცა და თუ ვინმე გადარჩა ცოცხალი, ჩემი და კოლია ემუხვარის ნყალობით. ავსტრიელები, მიუხედავად ასეთი ამინდისა, განუწყვეტლად გვესროდნენ, როგორც თოფ-ზარბაზანს, ისე ტყვიისმფრქვეველებს, გამოუშვეს 90 მზვერავი და თითქმის ყველა ესენი ტყვედ ჩაუვარდა ჩვენს ჯარს. მაშინ დროებით თათრების პოლკის უფროსი იყო ტუტუზიკ სტაროსელსკი, რომლის წერილი და აწერილობა ამ ჩვენის სიყოჩისა მკითხველს განცვიფრებაში მოიყვანს. ყველა ჩვენი მხედრები წმინდა გიორგის ჯვარზე იყო წარდგენილი, მე მომცეს ანნა მეოთხე ხარისხისა მამაცობისათვის, კოლიას სტანისლავის ხმლითა და ბანტით. 7 ნოემბერს, დილის 5-6 საათზე, ჩვენ გამოგვენაცვლა თერგის ყაზახ-რუსების ცხენოსანი დივიზია და ჩვენი „დიკაია“ დივიზია რუსეთს დასასვენებლად წავიდა, სადაც შეამსო ნაკლი ცხენებისა და მხედრებისა. და თუ იმას დასვენება ჰქვია, რომ თითქმის ყოველდღე ვარჯიშობაში ვი-

დამწვარ ხიდთანო!“ ის იყო თენდებოდა და ჩვენც დაუყოვნებლივ მივადექით მდინარე დნესტრს. სანამ მდინარეს მივადგებოდით, უნდა გაგვევლო ნახევარი ვერსტი გზა სრულიად ღია, მხოლოდ მდინარის პირად. 15 საუენზე იდგა ერთი მოდიდო სახლი. სანამ იქ მივირბენდით ცხენებით, ისეთი საშინელი სროლა ასტეხა მტერმა, რომ ყურთასმენა არ იყო! 30 მაისის დილა, სანამ ცოცხალი ვარ, საისტორიო დღე იქნება ჩემს ცხოვრებაში! ასეთი დილა ძნელად თუ ვისმე გასტენება. სიკვდილის ცეცხლი თავზე დაგვეტრიალებდა ერთი ოჯახის შვილთა, სამ ადამიანს – უჩას, მე და ოთარს. ჩვენთან იყო ლადო ბერიძე, ალექსის შვილი, უჩას ბიჭი, რუსი ვალოდია კირილოვი, ორი მეგრელი – თომა სიჭინავა და თეოფანე ბულია, დანარჩენები ჩაჩნები იყვნენ, გარდა ოთხი რუსისა. როგორც უკვე იცი, პირველად წყალში გადავმგვარდით ოთარი და ორი ჩაჩანი, შემდეგ ბერიძე რამდენიმე მხედრით. ვდგევართ უჩა და მე, რადგანაც ხუთი-ექვსი ცხენოსნის მეტი ვერ წავა წინ, მაგრამ უნდა იცოდე, იმ სახლმა გადაგვარჩინა სიკვდილს, თორემ ერთიც არ ვიქნებოდით ცოცხალი, უჩამ მითხრა – შენ აქ გაჩერდი და მე 6 კაცით წავალ, ცოტა ხნის შემდეგ მომყვიო! მოაწია ჩემმა რიგმა და მეც დავკვილე ერთი ჩვენებურად და 6 კაცით წყალში გადავმგვი! წყალი მდინარეში ისე სდულდა, როგორც ცეცხლისაგან ქვაბში! ტყვია, როგორც სეტყვა, ისე სცვიოდა წყალში. გაღმა ვხედავ, რომ უჩა, ბერიძე და ოთარი ხიდის ქვეშ ფერდით სდგანან და მიყურებენ. გავცურე ცხენით გაღმა, მომყვა ყველანი, ვინც იყო, ოცი კაცი და ისე გავვიდით, რომ ჩემთან ვინც იყო, ერთიც არ დაჭრილა. ერთს ჩაჩანს შუა წყალში მოუკლეს ცხენი და ცხენიანად ჩასძირა წყალმა, მაგრამ წარმოიგდინე ასეთი სროლის ჟამს მან ცხენს წყალში ონაგერი მოხადა თავის ნაბდითა და ხურჯუნით, ცურვით გასცურა მდინარე. მოგვიკლეს რამოდენიმე კაცი და ცხენი. აქ ხიდის ქვეშ მოვითქვით სული და წავედით იერიშით მდინარის პირად მდებარე სოფელზე, სადაც მტერი იყო გამაგრებული. შეიქნა ჯოჯოხეთური ომი! ოთხი საათის განმავლობაში მტრის ქვეითთა ჯარი იერიშით რამოდენიმეჯერ წამოვიდა ჩვენსკენ, მაგრამ უკუგაქციეთ. ჩვენი ცხენები და რამოდენიმე დაჭრილი ხიდის ქვეშ დავტოვეთ. იყო ისეთი წამი, რომ ტყვია შემოგველია და რომ 11 კაცი თავის თოფებითა და ორი დიდი ყუთი, ტყვიით სამსე, არ ჩავვარდნოდა ტყვედ, ჩვენი საქმე ფინთად იყო. 4 საათის შემდეგ როგორც იყო, მდინარეში ჩაეშვა ჩვენი ქვეითთა ჯარი და გადმოსცურა, რომლის შემდეგ ჩვენ შევჯექით ცხენებზე და წავედით იერიშით მტრის მარჯვენა ფრთაზე, ქვეითთა ჯარი წავიდა პირდაპირ. მოგვიხდა შეტაკება სასტიკი, ტყვედ ჩავვივარდა სამასორმოცდაათი კაცი, ორი ოფიცრით, ორი ტყვიისმფრქვეველით, მე მარტომ დავიჭირე ათი კაცი, ოთარმა – შვიდი, უჩამ – ოთხი. იყო ისეთი წამი, რომ მე და ერთი მხედარი მარტო დავჩრით. ამხანაგები ჩამოგვრჩნენ და გადავყარეთ ნახევარი როტა მტრის ქვეითთა ჯარს! წარმოიგდინე – მე მარტო და კიდო ერთი კაცი მტრის ასი კაცის წინაშე! მომიკლეს ცხენი, გამიმტერიეს ბინოკლი ტყვის ზალპით და კომპასი. მტერი სულ ასი ფეხის ნაბიჯზე მესროდა! მკვდარს ცხენს ონაგერი მოვხადე და წამოვიღე. ასე გადავჩი სიკვდილს და ტყვეობას! ამავე დღეს მოგვიხდა მეორე შეტაკება, იქაც გავიმარჯვეთ! შემდეგ ავიღეთ, პეხოტასთან ერთად, ერთი მცირე ქალაქი. რაც ამ დღეს ჩვენ გადაგვხდა, კალამი უძღლური აგინერო და გადმოგცე!

მუშნი დადიანი — სამშობლოს შვირული რაინდი

თითონ მინახულა, ლაზარეთში რომ ვინეტი. ძაან მონდომებულია, არ ვიცი, რა იქნება. შენ გული გაიმხნევე და ყოველივე, რომ გინდა, ისე იქნება სულ მალე.

ადრესი რაც იყო, ოლონდ დაანერე ჩერკეზსკის მაგრად „чеченский конный полк. Уряд. О. Д.“

მინანერი: პირველი მსოფლიო ომის დროს, ავსტრიის ფრონტზე მომხდარი ეს სისხლისმღვრელი შეტაკება თავის მოგონებებში საგანგებოდ აქვს აღწერილი გენაჯი ჩიქოვანსაც, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ ოთარ დადიანის წერილის მოხმოვა, ვინაიდან მასში ძალზე მნიშვნელოვანი დეტალებია და, გარდა ამისა, თელი სიმბოლით წარმოგვიდგება რაინდული სულის გაუტყებელი ვაჟკაცი, ვინაც, ამავე დროს, სამშობლოში დარჩენილი უერთგულებსი მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილების მიმართ უჩვეულო სინაზეს იჩენს.

ა.კ.

მუშნი დადიანის ნაირილი მისულისადმი

1916 წ. 15 ივლისი. კარპატის მთებიდან

ძვირფასო კატია! რადგან ცხრა თვე შესრულდა, რაც ავსტრიის ფრონტზე ომში ვარ, მინდა მოგწერო თუ რა და რა ომში ვიყავი. გარდა პატარა-პატარა კინკლაობისა, რომელზედ წერა არ ღირს. პირველი ჩემი თოფ-ზარბაზნის გრილის ქვეშ ყოფნა იყო 5-6 ნომბერს, შარშან, დიდი ქარბუქის დროს, როცა მეოთხე ასეულმა ჩერქეზების პოლკისა, სახელდობრ, აფხაზების ასეულმა თავი ისახელა და თათრების პოლკის ორი ასეული გადარჩინა. ენა ვერ გამოსთქვამს თუ რა გაჭირვება გამოვიარეთ მაშინ. თოვლი, ქარბუქი და მისგან წამომდგარი ქარიშხალი ნებას არ გვაძლევდა, თვალნი გაგველო და პირდაპირ შეგვეხედა! ათი ნაბიჯის მანძილზე არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. ამ გაჭირვების დროს ძლიერ ისახელეს თავი აფხაზებმა და მელიტონ ემუხვარის შვილიმა კოლიამ,

ემზარ კვიციანი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)





სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას  
პარლამ ლიპარტიანი: რუსებმა თქვეს, მერამდენად უნდა ვიღებოთ ევროპ ადგილები



გაღვიძრული ლიპარტიანი (90-კილოგრამიანთა წონითი კატეგორია) ძიუდოსტთა ევროპის წლებგანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ვარსკვლავად იქცა, იმდენად დამაჯერებლად მოიგო ეს მნიშვნელოვანი ტურნირი.

არადა, სულაც არ იყო ფორმაში, რადგან მთელი მოსამზადებელი ციკლი ნატკენი ფეხით ჩაატარა და სრულყოფილად ვერ ვარჯიშობდა.

სამაგიეროდ, ამ გამარჯვებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. მონაწილეები ის მესხეთად გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში და მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

ამასთან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გუნდური

ტურნირის მოგებაში. იქ სამიდან ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივეში იმარჯვა, თუმცა თავისი მნიშვნელობით ფასდაუდებელი იყო ნახევარფინალში რომანი ბუფესთან გამარჯვება – გარდა იმისა, რომ მეტოქე მთელი თავით აღემატებოდა სიმძლავრეში, თან პირადად არ უჭიდავია, ხოლო ქართველს დადებითად ეტყობოდა, იუკოთი მოუგო, რითაც მასპინძელთა უძლიერეს ნაკრებთან ვადამდელი გამარჯვება მოგვიტანა.

ეს უძნელესი პაექრობა იყო, თორემ მისი წაგების შემთხვევაში მძიმე წონაში ტედი რინერთან შანსი თითქმის არ გვქონდა. ლიპარტიანი ამ შეჯიბრების შესახებ ევსაუბრეთ.

– ტურნირს ტრავმირებული

შეხვედრით, თუმცა ამას ჩემპიონობაში ხელი არ შეუშლია...

– პრობლემები მართლაც იყო. მოგვხსენებთ, პარიზის ტურნირზე ფეხი ვიტკინე და აქტიურად ვარჯიშს ვერ ვახერხებდი, ხშირად მიწვედა გუგუნიანი გადახვევა.

ამის გამო, ფორმაში ვერ ვიყავი, მაგრამ მინც ვაგვიმარჯვე. მეორედ გავხდი ჩემპიონი და აქედან გამომდინარე, კმაყოფილი ვარ შეჯიბრებით. მსოფლიოს პირველობისთვის ეს ფორმა საკმარისი არაა, მეტია საჭირო. ტრავმა მთლიანად მოვიშუშე, აღარ მაწუხებს და შევეცდები, მსოფლიოს პირველობიდანაც ასეთივე შედეგით დავბრუნდე.

– ამ ტრავმებიდან, ამ პრობლემებიდან გამომდინარე, რომლის საპირწონედაც იყო მაღალი კლასი, საინტერესოა, ჩემპიონატის წინ რას გეგმავდით?

– ყველაფრის მიუხედავად, მინც მხოლოდ ჩემპიონობას ვეგუმაგდით. ევროპის ჩემპიონატში შექვეყნდ გამოვიდი და მედლის გარეშე არც ერთიდან არ დავბრუნებულვარ.

ყოველთვის ფავორიტად მივიჩნევდი და ახლაც ასე იყო. მეტოქეზე ესეც მოქმედებს და მეც მიხარია, როცა ლიდერად მიმიჩნევენ. ამ ტურნირის წინ ცნობილი გახდა, რომ არ იტიდავებდნენ ძირითადი კონკურენტები – რუსი კირილ დენისოვი და ბერძენი ილიას ილიადისი, თუმცა მერინგა, მათაც ვასპარეხათ – რაც უფრო კონკურენტუნარიანი ჩემპიონატი და რაც მეტი ლიდერი მონაწილეობს, შეჯიბრებაც მით უფრო საინტერესოა.

– ცალკეული შეხვედრებიდან რომელს გამოარჩევთ?

– ლიტველ კაროლის ბაუზასთან შეხვედრას გამოვარჩევ, რომელიც ფიზიკურად ძალიან ძლიერია.

მეოთხედ მომიწია მასთან შეხვედრამ და ყველა მოვუგე, დადებითი ბალანსი მაქვს, მაგრამ ამჯერად ჩემივე შეცდომით გდება გავუშვი, თუმცა მინც მოვუგე – ჩოქჯენში ჩავიყვანე და შევბოჭე ეს ჩემი ტაქტიკა იყო.

– კარგია, რომ ჩოქჯენი ისევე აქციეთ ერთ-ერთ კოზირად...

– უკვე მართლაც ისე ვარ, ვისაც კი ჩავეყვები ჩოქჯენში – რუსი იქნება თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელი, ყველა გამიბრბის.

ახლაც თუ გადახვედავთ კადრებს, ნახევარფინალში უნგრელი კრისტიან ტოტიც და ფინალში რუსი კირილ ვოპროსოვიც ცდილობდნენ, ხაზს გარეთ გასულიყვნენ, მსაჯს შეხვედრა რომ გაეჩერებინა.

– ფინალში მოგება თითქოს არ გაგვიტრიალებია.

– ფინალს ყოველთვის დამატებით დატვირთვა ახლავს. აქედან გამომდინარე, ვცდილობდი, ტაქტიკურად წარმემართა შეხვედრა და ყურადღება არ გამემახვილებინა ლამაზ გდებაზე, იპონით მოგებაზე.

ფიქრობ, შეხვედრა სწორად წარმართე, როგორც დამიგვემეს მწვრთნელებმა.

– წინ მსოფლიოს ჩემპიონატი. როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზული რეფორმა გვიტრიალებს მოსამზადებელ გეგმაში?

– სერიოზული რეაგირება რამ-

დენდაა საჭირო, ამაზე მწვრთნელებმა უნდა გიპასუხონ – შორიდან ვინც უყურებს ამ ყველაფერს, ის უფრო ხედავს, რაა გამოსასწორებელი, ხარვეზი და რა კუთხითაა სამუშაო.

ფიქრობ, მეტი ფიზიკური მომზადება გეჭირდება. არ ვიტყვი, რომ ვინმესთან გამიჭირდა, მაგრამ მსოფლიოზე მეტია საჭირო.

– გუნდურ ტურნირზე რას იტყვით?

– გუნდური შეჯიბრება მართლაც სხვა ფენომენია. რუსებმა თქვეს, მერამდენად უნდა ვიღებოთ ევროპ ადგილები, ეს ვერცხლის მედლები მოგვებურდა უკვე.

მეტოქეები დათრგუნულები გამოდიან ჩვენთან საჭიდაოდ. შეგუბულები არიან იმ აზრს, რომ შანსი არ აქვთ. ეს ძალიან სასიხარულოა, თუმცა ამას უფრო მეტი ყურადღება და დაფასება სჭირდება.

აი, ზედიზედ მესამედ გავხდით ევროპის ჩემპიონები, ძიუდოს ევროპულმა ფედერაციამ შარშანდელი სეზონის საუკეთესო გუნდად დაგვასახელა, მაგრამ დარბაზი არ გვაქვს სავარჯიშოდ.


– ფრანგებთან დაძაბული შეხვედრა გქონდათ, ფაქტობრივად – ნაადრევი ფინალი.

– ეს მართლაც დაძაბული შეხვედრა იყო. ფრანგებს ძალიან უნდოდათ 2011 წლის შედეგი გაემორგებინათ, როცა გუნდურში ვაუბშიც და ქალებშიც ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ამის განხორციელებაში ხელი შევეშალეთ, გავუწიბლეთ იმელები სპორტსმენებსაც და ქომაგებსაც. ძალიან დაღონებულები იყვნენ.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი ერემლოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის სასაქონლო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322



ნოშრევიან ნამორაძეს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა

ერეკლე კოდუას მძაბუნხემენი დავით კოდუას აბაშიძის ქუჩაზე 3 მაისს სცემეს. იგი სიღამაზის საღონში 4 წლის შეილთან და ძიძასთან ერთად იმყოფებოდა. სახის არეში მრავლობითი დაზიანებების შედეგად, კოდუა კლინიკაშია მოთავსებული. მას ოპერაცია ჩაუტარდა. საქმის მასალების მიხედვით, კოდუას ნამორაძე შურისძიების მოტივით გაუსწორდა.

ბიზნესმენ დავით კოდუას ცემაში ბრალდებულ ნოშრევიან ნამორაძეს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა. მოსამართლემ გადაწყვიტა, რამდენიმე წლის წინ გამოაცხადა.

პროცესზე ნამორაძისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდება პროკურორმა მოითხოვა, დაცვის მხარე კი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

სახის არეში მრავლობითი დაზიანებების შედეგად, დავით კოდუა კლინიკაშია მოთავსებული. მას ოპერაცია ჩაუტარდა. საქმის მასალების მიხედვით, კოდუას ნამორაძე შურისძიების მოტივით გაუსწორდა. დაზარალებულის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით მის ახლობლებს დავით კოდუას საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანა სურთ, მაგრამ ექიმები მათ კატეგორიულად აფრთხილებენ, რომ ამ მდგომარეობაში ტრანსპორტირება შეიძლება საბედისწერო აღმონდეს ავადმყოფისათვის.

გულითადად გულოცავ დაბადების დღეს ჩემს ცნობილ თანამემამულეს ბატონ ნაპოლეონ მესხიას! გულწრფელად ვუსურვებ შესაშურ ჯანმრთელობას, წარმატებებს უპირობო დასტაქრის კეთილშობილურ საქმიანობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. აფხაზეთის ხალხი დიდად გემადლიერებათ თქვენ, ბატონო ნაპო, და დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს თქვენს ფასდაუდებელ დეაწლს ჩვენი მრავალტანჯული საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით,

ალექსანდრე ჭაჭია

სახალხო მოძრაობა “სამშობლო”, გაზეთი “ილორი” გულითადად ულოცავენ დაბადებიდან 76 წლის იუბილეს სახელგანთქმულ ქართველ პოლიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერს, მწერალს, საოცარი ხელების მქონე დასტაქარს, ჩვენს დიდ მეგობარსა და თანამებრძოლს ბატონ

ნაპოლეონ მესხიას

უსურვებენ მას ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, რათა კვლავაც მედგრად იღვას საქართველოს ერთიანობისა და ქართველი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ჩვენო ნაპო, შენ ვერაფერი დაგაკლო ქვეყანაში ავბედითად დატრიალებულმა გეოპოლიტიკურმა ქარბორბალამ, შეილდების ტრაგიკულად დაღუპვასაც სტოიკურად დახვდი, ოდნავდაც არ მოგდუნებია მარჯვენა და სამშობლოსადმი უანგარო მსახურების მაგალითის აძლევ სრულიად საქართველოს!

ღმერთმა შენი იმედი ნუ მოგვიშალს, კარგო კაცო!

ილორი

– აღიარეთ, რომ მთვრალმა ბიბლიოთეკაში ქალს შეურაცხყოფა მიაყენეთ!

– ვაღიარებ! აბა, კაცო, რაა ეს სიმთვრალე! ფხიზელს ბიბლიოთეკაში რა შემიყვანდა?

\*\*\*

– სად მქონდა თავი, შენ რომ ცოლად მოგყვებოდი?

– სად გქონდა და ჩემს თავთან, ბალიშზე.

\*\*\*

– რაა ხარ, თუ იცი?

– ქე ვარ პამპერსივით!

– მაი რაფრა?

– ვისრუტავ და ვისრუტავ ამ უბედურ ცხოვრებას.

\*\*\*

– მომკლა ამ უფულობამ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, – აქებს ქმარი ცოლს, – მეც რომ შენნაირი სამსახური მამოეწინა...

– არა, არა, შენ მაგას ვერ გაუძლებ!


\*\*\*

სამშობლო სახლთან ავტომობილი დამუხრუჭდა და აქოშინებული კაცი გადმოხტა:

– ჩქარა, ჩქარა!

– თქვენ უნდა იმშობიაროთ? – გაუკვირდა მედღას.

– აუ, ამ სინქარეში ცოლი ქე დამრჩენია სახლში.

<p>ISSN 1987-8966 ilori</p>  <p>ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №8, სარ.ბ. №01018002930</p> <p>234 - 32 - 95</p> <p>ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია</p> <p>მხედველი რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი</p> <p>ბაზემთის მენეჯერი: ზურაბ ტობაღია 599-34-37-27</p> <p>სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, ზვიად მირბატი, ბივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (ბალი)</p>	<p>გაზეთი “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე</p> <p>WWW.saqinform.ge</p>
---	--	---	---